თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და
შპს „რემონტი +"-ს შორის

ქ. ბათუმი 9 --- იანვარი 2020 წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"** (შემდეგში „ბსუ"), წარმოდგენილი რექტორის ასოც. პროფესორის მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ **შპს „რემონტი +"** ს/კ 445546552 (შემდეგში „რემონტი +") წარმოდგენილი მისი დირექტორის თორნიკე ნატარიძის მიერ, (შემდეგში „მხარეები") თანხმდებიან პროფესიულ საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

მხარეთა უფლება–მოვალეობები

1. **შპს „რემონტი +"** უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საფინანსო სერვისები"-ს** სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას. ასევე უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სხვა საკითხების შესწავლას; პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის ფარგლებში,
2. მხარეები:
   ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);
   ბ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;
   გ) უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის **„საფინანსო სერვისები"-ს** ფარგლებში, გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ მოდულით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობით და სასწავლო რესურსებით.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2025 წლის 31 დეკემბრამდე
მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი"
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32

მერაბ ხალვაში
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

შპს „რემონტი +"
ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. N49

თორნიკე ნატარიძე